სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს

ბრძანება №REG 3 24 00000779

2024 წლის 12 მარტი

ქ. თბილისი

სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის და ლიცენზიის დანართების გაცემის შესახებ

საქართველოს კანონის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (მუხლი 6, მუხლი 8, მუხლი 10) და „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილების (დანართი №1) შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. გაიცეს შპს „მედ 11“-ზე (ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, სოფელი დიღომი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქუჩა N3; ს/კ 400245533) „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ლიცენზია“ და ლიცენზიის დანართები: „არასპეციალიზებული დახმარება“ და „სპეციალიზებული დახმარება“.

2. დაევალოს სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიების და აკრედიტაციის სამმართველოს სალიცენზიო მოწმობის და სალიცენზიო მოწმობის დანართების გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. დაევალოს სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიების და აკრედიტაციის სამმართველოს ლიცენზიის და ლიცენზიის დანართების გაცემის შესახებ მონაცემები დადგენილი წესით შეიტანოს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: შპს „მედ 11“-ის (ს/კ 400245533) დირექტორის, თეონა ჭიღლაძის განცხადებები: №1395075, 27.12.2023წ. და №166178, 12.02.2024წ.

ადგილზე შემოწმების აქტი: №ლნ - 486 - 60, 09.03.2024 წ.

ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი: №9, 11.03.2024წ..

სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ლეილა ქოჩიაშვილი